



କେତ୍କାବ୍ଲେଟ୍ ପ୍ରିନ୍ଟିଂ ଏରିଆର୍ ମୁଦ୍ରଣ ଶ୍ରୀଲଙ୍କା

2
2023



ჯაიპიტეა!

ისრუბი,
რომლებშიც სიტყვები
წერია, განაღავე საჭრო
თანმიმდევრობით და
გაიგებ იტალიელი
ისტორიელისა და
მწერლის ნიკოლო
მაკიაველის საინტერესო
გამონათქვაშს.
ის XV-XVI საუკუნეებში
ცხოვრობდა.

აფამიანს

ჰუკვე.

მეგობრების

მეგობრია

კალგი

ვინჯ

კარგი



მე
უკვე წავიკითხე
ეს გამოთქმა

ეს
თუმა მე ძალან
მაინტერუსებს.
მეგობრები ბევრი მყავს,
თუმცა ჯერაც არ გიცი,
რამდენად მყარია ჩვენი
მეგობრობა



მარიამი



ჩიტი გალობს,
ღმერთს ადიდებს.
ვენაცყალე მას ტკბილ ხმაში!
ყელს იღერებს ციცქა ჩიტი
მისი მღერა აღის ცაში.
ყურს მიფუგდებ,
გაოცებით ვიტყვა:
— ღმერთო, რა კარგია!
არც კი იცის, რომ გალობით
ატკბობს ღმერთს და ადამიანს.
შზის აძლევლას უებება,
გააცოცხლა დილა ბნელზე
ყელს იღერებს, თვალებს ხუჭუს
და გვიამბობს შემოქმედზე.
დაასრულებს,
ფრთებს ზე ასწევს
გაფრინდება ნეტავ საით?
გაგაოცებს ნიჭი ღვთისა
მუჭისტოლა არსებაში.



ნახატი ტ. პ.

მარიამი



კართან დავჯდები ხეიბარივით
სული მტკიუა და გულს ვერ გამშვიდებ
ხელს გამოვიწვდი მათხოვარივით
იქნებ რაიმეს,
იქნებ გამოგრჩე . . .
მომიახლოვდი და შემიბრალე.
რადგან ჩემი ხმა სასოს წარგპვეოუ
ახლა მჭირდება შენგან წყალობა
ნუ დაიშურებ, გამოიმეტე.
კართან დავჯდები მათხოვარივით
პური? — არა მსურს,
არც დვინოს ვითხოვ
შემწიე და შენს სიძიდრისგან
სული მომეცი, რომ მით ავიგსო.
მე ხალხის თვალში არაფერი ვარ
ზოგის დამცინავ შეამჩნევ ღიმილს
ქვეყანას ვამცნობ, რაც მიწყალობე
ხეიბარივით მე აღარ ვიყლი.
შენს ყოველ სიტყვას მკერდს დაუკიდებ
იყოს ჩემს თვალწინ გამოსაღვი,
რომ შერცხვნილი კაცი არ ვიყო,
როცა მოვალ და შენს წინ წარგსდგები.

„შეკვეთის ეპული „წილი წათვზე“

ე. ბ.

თავი 1

საღამოს, როცა სტუმრები წავიდნენ, ნიკა შეუდგა დაბადების დღეზე მოტანილი საჩუქრების თვალიერებას. ახალი როლი კვ-ბი, ვერტმფრუნი დისტანციური მართვით, კონსტრუქტორი „ლეგოს“ სამი კუთი, ახალი **MP-3** ფლეიერი — რამდენი რამეა! კიდევ ფინჯანი და მაისური „მაინკრაფტის“ ლოგოტიპით! ენციკლოპედია „დინოზაგრები“ და... რაღაც უცნობი მოგრძო ფუტლიარი...

— ეს, ალბათ, მაიამ მაჩუქა. საინტერესოა, რა არის? — თქვა ნიკამ და გახსნა ფუტლიარი.

მასში აღმოჩნდა გრაგნილივით დაზვეული ვარსკვლავიანი ცის ფერადი რუკა.

— ვნახოთ, ვნახოთ... — თქვა მან და თან ათვალიერებდა უჩვეულო საჩუქარს.

გულახდილად თუ ვიტყვით ასტრონომიით ნიკა არა-სოდეს ყოფილა გატაცებული. და უფრო გულახდილები თუ ვიქნებით პირდაპირ ვიტყვით, რომ საერთოდ არ უყვარდა ის. საქმე იმაშია, რომ პირველად ამ მეცნიერების შესახებ შეიტყო მაშინ, როცა ჯერაც პირველ კლასში იყო.



პასპლაზმიანი ცის რუკა

დღი და პატარა დათვის თანაგარსკვლაბედი

ნიკამ გაიხსენა გვიანი შემოდგომის საღამო, როცა მისმა უფროსმა ძმამ გეოგრაფიის გაკვეთილის შემდეგ, რომელზედაც გარსკვლავებიან ცაზე იყო საუბარი, გადაწყვიტა თავისი ცოდნა გაეზიარებინა ძმისთვის. გამოიყვანა ის აიგანზე და დაიწყო საუბარი დიდი დათვის თანაგარსკვლავედზე:

— შეზედე, აი ის! დააკვირდი, ციცხვს პგავს დიდი სახელურით!

ილიამ ორივე ხელი მოჰკიდა ნიკას თავზე და მიატრიალა ამ თანაგარსკვლავედისაკენ.

— რომელ ციცხვს?! — ზლუქუნებდა ნიკა.

— რომლითაც ქვაბიდან წვნიანს იღებენ! — მოთმინებას კარგავდა უფროსი ძმა.

თუმცა, დიდი მოწადინების მიუხედავად ნიკამ ვერც დიდი დათვის თანაგარსკვლავედი დაინახა და ვერც პატარა დათვის. ცაში ბევრი ვარსკვლავები იყო, რომლებიც არანაირად არ

იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ნიკას დედამ უშველა... ცოტაც და კისერი მოეგრი ზებოდა საწყალ ბიჭს. აი ასეთი იყო ასტრონომიის მისი პირველი გაკვეთილი. ახლა კი, ამ რუგაზე, ნიკამ მაშინვე დაინახა ის ციცხვი.

რუკა იატაკზე გაშალა და გატაცებით ათვალიერებდა სხვადასხვა თანაგარსკვლავედებს.

— აი ის, დიდი დათვი! აი, პატარაც. ისეთივეა მაგრამ მცირე ზომის! ეს რა კაშკაშა ვარსკვლავია — პოლარული ყოფილა! თურმე ის პატარა დათვის თანაგარსკვლავედშია! აი, კიდევ ერთი მწევრების თანაგარსკვლავედი! ეს კი — გედისაა! საინტერესოა კიდევ რა არის? აი უირაფი... ამ ბუზმა გამიწყალა გული!



მის ხმაზე დედა შემოვიდა ოთახში:

— ნიკა, რა ხდება?

— დედა, შეხედე, მე ვარსკვლავებიანი ცის რუკა
მაჩუქეს! ისეთი საინტერესო თანაგარსკვლავებია!
შეხედე, აქ მერწყულიც არის!

— ნუთუ...! — გვერდით ჩამოუჯდა დედა. — პო
დედა, აქ მიკროსკოპიც არის! — ახლა უკვე გვი-
ანია, დწექი დასაძინებლად და დანარჩენი ხეალ
ვნახოთ — უთხრა დედამ.

ნიკამ კბილები გაიზაა და დაწეა, თუმცა ისევ
ამ საოცარ საჩუქარზე ფიქრობდა. ჩუმად აანთო
ნათურა და კვლავ დაიწყო თანაგარსკვლავების
თვალიერება. ამ დროს აზრი მოუვიდა თავში, რომ
ნამდვილ ცაზე ეპოვა ზოგიერთი მათგანი. ჩუმად
გამოვიდა აივანზე. ბნელოდა, ცაზე ერთი ვარ-
სკვლავიც კი არ ჩანდა. ქვემოთ ფანა-
რები ენთო, რომელთა გარშემოც
ფიფქები ფარფატებდნენ. იმედ-
გაცრუებულმა ნიკამ ამოიოხრა
და გაემართა დასაძინებლად.

როგორც წესი ის ფერად და საინტერესო სიზ-
მრებს ნახულობდა ხოლმე. ამ ღამით კი მისი
სიზმარი განსაკუთრებული იყო. ესიზმრა თითქოს
დიდი ირგმი იღგა ტყის პირას, შემდეგ ცხოველი
რაღაცამ დააფრთხო და ადგილიდან მოწყვეტილმა
ირგმა დიდი ნახტომი გააკეთა, რაც თითქოს ცაზე
აღიბეჭდა და რასაც ამ ვარსკვლავებში „ირმის
ნახტომი“ ჰქვია. შემდეგ თავისი მეგობარი მაია
დაესიზმრა, რომელიც ეუბნებოდა: „ხედავ ნიკა,
აი ეს დიდი დათვია. შეჯექი, წინ გავწიოთ!“ და
თითქოს ნიკა დიდ დათვზე შეჯდა, მაია კი პატა-
რაზე და თითქოს წინ მიდიოდნენ... . „მე დიდი
დათვის თანაგარსკვლავედი ვიპოვე!“ — უყვიროდა
ნიკა თავის ძმა ილიას, რომელიც ფანრის ქვეშ იღგა
და მათ ხელს უქნევდა.

გაღვიძების შემდეგ, პირველი რაც ნიკამ
გააკეთა იყო ის, რომ დაურეკა მაიას.
მადლობა მოუხადა საჩუქრისთვის,
უამბო თავისი სიზმრის შესახებ
და დაამატა:



— მართლაც კარგი იქნებოდა, რომ გარსკვლავებთან
მივფრენილიყავით და ახლოს გაცენობოდით მათ!

— მიფრენას ვერ შეგპირდები, მაგრამ ახლოს გაც-
ნობა შეიძლება, — იდუმალი ხმით წარმოთქვა მაიამ.

— როგორ? — ცნობისმოყვარედ იკითხა ნიკამ.

— მე მშობლებთან ერთად შაბათს ქალაქებარეთ,
აგარაკზე მივდიგარ. წამოდი ჩვენთან ერთად, რაღაც
საინტერესოს გაჩვენებ.

— აგარაკზე? ახლა ხომ ზამთარია! — შეიჭმუხნა ნიკა.

— ჩვენ იქ ნამდვილი შეშის ღუმელი გვაქვს. ყო-
ველთვის იქ ვხვდებით ახალ წელს. ეზოში მდგარი
ნაძვის ხე, ჯერაც მორთულია.

— კარგი, მადლობა მიწვევისთვის. თუ დედა გამო-
მიშვებს წამოგალ. თხილამურები წამოვიდო?

— არ არის საჭირო, იქ ყველაფერია: თხილამურე-
ბიც, ციგებიც, და კიდევ. . . მოკლედ თავად ნახავ.

— ყოველთვის ასეა: რაღაცას იტყვის და შემდეგ
სულ ცნობისმოყვარება მკლავს! — ჩასძახა ნიკამ
ყურმილში, თუმცა პასუხად მხოლოდ წყვეტილი სიგ-
ნალი მოესმა.



ნახაფი ვ. ჭ.



შერადლება! შეჯიბრება!

„მოგზაურობა გარსკვლავებიან
ცაზე“ — მცირე ზომის მოთხოვნაა,
რომელიც ექვსი თავისაგან შედგება.
თითოეული თავის ბოლოს მოცემულია
დავალება, რომლის შესრულებაც
ყველა თქვენგანს შეუძლია. ბავშვები
შეასრულეთ ეს დავალება; სწორად
შესრულებული დავალებისთვის
საკვირაო სკოლის მასწავლებლისგან
მიიღებთ ტკბილეულს.

დაგალება 1

1. რომელ თანავარსკვლავედში
იმყოფება პოლარული გარსკვლავი?

2. გაშიფრე ბიბლიის მუხლი, ჩაიწერე
და ისწავლე ზეპირად.

●●● ●●●δ ც★●★δ◆●●δ

δ●●*δ, ●*●○● *●

●*○●●δ ჟ*○*●●δ *●○●δ.

ვგ: 18:2

1 *	5 *	6 δ
3 *	6 □	7 ▲
8 ○	3 ○	1 ⚡
2 ●	5 ◇	6 ♪
6 ⚡	1 ☼	9 ♦
8 △	4 ▽	5 ○
5 ○	9 ○	7 ○




ბარნაბა და პავლე

გ. 8.

ქრისტეს ეკლესიის არსებობის პირველ წლებში, მას ეწოდებოდა „გზა,“ ან „უფლის გზა,“ ხოლო იესო ქრისტეს მორწმუნები თავს თვლილდნენ იმ ადამიანებად, რომლებიც იდგნენ „გზაზე.“ ანტიოქიაში (დიდ ქალაქში), იერუსალიმიდან ჩასული უფლის მოწაფეები ქადაგებდნენ სახარებას და ბევრმა ებრაელმა, ასევე წარმართუბმაც ირწმუნეს იესო ქრისტე. იესოს მიმდევრები ისე გამრავლდნენ და ქრისტეს სახელი ისეთი ცნობილი გახდა, რომ იერუსალიმში მყოფ-მა მოციქულებმა, როცა ეს შეიტყვეს, ანტიოქიაში ბარნაბა გაგზავნეს.

ბარნაბამ დაინახა, რომ ამდენი მოწაფეების არსებობის პირობებში კარგი მასწავლებლების გარეშე ძალიან გაჭირდებოდა, ამიტომაც გადაწყვიტა ეპოვა სავლე, ვინც ირწმუნა იესო ქრისტე, და ვინც მანამდე მოწაფეების მდევნელი იყო. ის გაემგზავრა ტარსუსში, სავლეს მშობლიურ ქალაქში, იპოვა ის და მიიწვია ანტიოქიაში. სავლე და ზოგიერთი სხვა მსახურიც ეკლესიისათვის დიდ კურთხევად იქცნენ. ისინი მთელი წლის მანძილზე ასწავლილდნენ და ქადაგებდნენ, შესაბამისად მოწაფეებიც მრავლდებოდნენ. ამავე ქალაქში მათ პირველად უწოდეს ქრისტიანები.

ერთხელაც, როცა მოწაფეები მარხულობდნენ და ლოცულობდნენ, სულიწმიდამ უბრძანა მათ ბარნაბა და სავლე განსაკუთრებული მსახურებისათვის გამოეყოთ. ეკლესიამ აკურთხა ისინი და ისტორიაში პირველი მისიონერული მოგზაურობა დაიწყო. მოციქულებმა დამხმარედ წაიყვანეს ბარნაბას დისტული იოანე (რომელსაც ჩვენ მარკოზის სახელით ვიცნობთ, ერთ-ერთი სახარების მომავალი ავტორი). სავლე და ბარნაბა ხომალდით ჩავიდნენ კვიპროსზე (ბარნაბას სამშობლო),



ნახადი ლ. 8.

როგორ გიძლობა?

1. რამ აიძულა
ბარნაბა, რომ
პავლე ანტიოქიაში
მოქადა?
2. იესოს მიმდვრებს
რომელ ქალაქში
უწიდეს პირველად
ქრისტიანებია?
3. რა საერთო მიზანი
ჰქონდათ ბარნაბასა
და პავლეს თავიანთი
მისიონერული
მოგზაურობის
დროს?

და იქ უქადაგებდნენ სახარებას კუნძულის მცხოვ-
რებდებს აღმოსავლეთი სანაპიროდან დასავლეთ
სანაპირომდე. ყველა ქალაქში ისინი ხვდებოდნენ
ადამიანებს, რომლებსაც სურდათ სახარების მოს-
მენა. პროკონსულმაც კი, რომაული ხელისუფლე-
ბის წარმომადგენელმა ირწმუნა ქრისტე პავლეს
ქადაგებით.

ეს კი ასე მოხდა. სავლე და ბარნაბა, გაიარეს რა
მთელი კუნძული პაფოსამდე, კუნძულის დედაქა-
ლაქამდე, შეხვდნენ ერთ მოგვს (ასეთებს ახლა
ჯადოქრებსა და ექსტრასენსებს უწოდებენ), სახე-
ლად ელიმას, ვინც იყო პროკონსულის ამაღლაში.
პროკონსულს სერგი პავლე ერქვა. მან მიიწვია სავ-
ლე და ბარნაბა სტუმრად და სთხოვა ეამბათ მისთ-
ვის ახალი სწავლების შესახებ. ქადაგების დროს
ელიმამ, მოგვმა დაიწყო მათთვის ხელის შეშლა და არწმუნებდა პროკონსულს,
რომ არ დაეჯერებინა მოცუქულებისათვის. პავლე (სავლეს მეორე რომაული
სახელი) აღმფოთდა და უთხრა მას: „ო, ყოველგვარი მთაკვრობითა და ყოვე-
ლი მანკიერებით აღვისილო, ეშმაკის ნაშიერო და ყოველივე მართლის მტერო,
მოეშვები თუ არა უფლის სწორი გზების გამრუდებას? აპა, შენზეა ახლა უფ-
ლის ხელი და დაბრმავდები, ერთხანს ვეღარ დაინახავ მზეს.“ და ჯადოქარი
ელიმა. . . დაბრმავდა! ამის შემხედვარე პროკონსული მიხვდა რა განსხვავებაც
არსებობდა მოციქულების სწავლებასა და თავისი სასახლის მოგვის სწავლე-
ბას შორის და ირწმუნა. ის სიხარულით უსმენდა მოციქულებს და აოცებდა
უფლის მოძღვრება.

დღო აღარ ითმენდა, მოციქულებს გზა უნდა გაეგრძელებინათ. ისინი ჩასხდ-
ნენ ხომალდში და დატოვეს კუნძული. ხომალდიდან პერგეში ჩამოვიდნენ და
შეუდგნენ სახითაო მოგზაურობას მთებისა და მდინარეების გავლით, ერთი ქა-
ლაქიდან მეორეში. პავლესა და ბარნაბას გულდასაწყვეტად, იოანე, რომელსაც
მარკოზიც ერქვა, არ გაჰყვა მათ. ის იერუსალიმში დაბრუნდა.

რა აღარ გადახდათ თავს მოციქულებს ამ მოგზაურობის დროს! ისინი სა-
ხარებას უქადაგებდნენ ებრაელებსა და წარმართებს, და ბევრმა მათგამა ირ-
წმუნა. ბევრ ქალაქში გაჩნდა იესო ქრისტეს მორწმუნეთა თემები. მოციქულებმა
მოიარეს ასიის მთელი პროვინცია, და გამოემზავრნენ უკან. უკანა გზაზე, შე-
დიოდნენ იმავე ქალაქებში, სადაც უკვე იყვნენ მორწმუნები, მოძღვრავდნენ
მოწაფეებს და ყველგან აყენებდნენ უხუცესებს. ისინი ხელს ადებდნენ მათ.

ანტიოქიაში დაბრუნებულმა მოციქულებმა შეკრიბეს მორწმუნები და
უამბეს მათ იმ დიდი სასწავლების შესახებ, რომლებიც თავს გადახდათ ამ
მოგზაურობის დროს, უამბეს მრავალ მოწაფეზე წარმართაგან
თუ ებრაელთაგან და ღვთის დიდი მადლის შესახებ, რომელიც
თან ახლდა მათ ამ მოგზაურობის დროს. და მიუხედავად ყველა
სიძნელისა, რომლებიც მათ გადაიტანეს თავიანთი მოგზაურობის
დროს (ერთ-ერთ ქალაქში პავლე ქვებით ჩაქოლეს და ქალაქგა-
რეთ დააგდეს, ფიქრობდნენ რომ ის მოკვდა), ისინი დიდად ხა-
რობდნენ იმით, რომ უფალმა აკურთხა მათი მოგზაურობა.

ამბავს ამ პირველი მისიონერული
მოგზაურობის შესახებ, იპოვით
საქმეების წიგნში, 13 და 14 თავებში.
გირჩევთ შეისწავლოთ ამ
მოგზაურობის რუკა, რომელსაც
თქვენ ბიძლიის ბოლოს ნახავთ

ბოლიანი ჩოჩორი

პ. უ.



ნახატი ე. პ.

— დაუდი, — თქვა ტალიმ, — ჩვენ არ ვიცით,
რა გაუკეთოთ ყველა ადამიანს ვეუბნებით, რომ
მოვიდნენ აცრის ჩასატარებლად. მაგრამ ბევრი
მათგანი ასე გვპასუხობს: იქნებ მოვიდნენ კიდეც...

— არიან ისეთები, — დაამატა კალიმ, — რომლებიც
ამ მნიშვნელოვან საქმეს სახვალიოდ სდებენ. ისინი
ჯერ იღებენ გადაწყვეტილებას...

— მე ვიცი, საბოლოოდ, რაც იქნება მათ თავს, —
ნაღვლიანად თქვა დაუდიმ, ექიმის თანაშემწეობა. — ჩვენ
ამის შესახებ დღეს საღამოს ვილაპარაკებთ.

იმ საღამოს მორჩილ ჩოჩორზე ამხედრებულმა
გულუმ და ლისომ მიაღწიეს ბაობაბამდე. როცა
დაუდი დაეხმარა ბავშვებს ჩამოსულიყვნენ დაბლა,
ცხოველმა უცებ ასწია თავი და დაიყირა.

— ოპა! — გაეცინა ტემბოს. — ის, ზებრასავით ყვირის!

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა დაუდი, — ისინი ახლო
ნათესავები არიან. თქვენ ალბათ ჯერ არ გსმენიათ
ზღაპარი იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ზებრამ
თავისი ზოლები? ეს ძალიან ძველი ზღაპარია.



პატარა ჩოჩორი პუნდა ძალიან ნაღვლიანი
იყო. ის ფიქრობდა, რომ შეუხედავი,
შავი ფერის ბეჭვი ჰქონდა და შურით
შეპტყურებდა ბაობაბთან შეკრებილ სხვა
ცხოველებს.

„რა ბედნიერი ხარ, ტვიგა, — უთხრა
ჩოჩორმა ჟირაფს. — ბეჭვი ოქროსფერი
გაქვს, შავი ლაქებით — როგორც შხის
სინათლე და ჩრდილი ეკლიანი ბუჩქის
ქვეშ. მე კი — მხოლოდ შავი ფერის მაქვს.

შეხედე ლომს! მას ოქროსფერი და ყა-
ვისფერი ბეჭვი აქვს, როგორც ელის
ბალახს. პატარა ანტილოპას ყვისფერი
ბეჭვიც, მას ძალიან ლამაზად წარმოაჩენს!
მე კი — უბრალოდ შავი ვარ.“



ჩოჩორმა ღრმად ჩაისუნთქა და გამიშვლა
თავისი დიდი კბილები. პიპოპოტამ ბუხუს,
რომელიც ტბორში იწვა, და მხოლოდ
თავი ჰქონდა მაღლა, შეაურეოლა.

რა მაგარი კბილები გაქვს, პუნდა! —
უთხრა ბუხუმ. — მათ დანახვაზე ტანში
ურუოლამ დამიარა. რა არ მოგწონს
შენს შავ ბეჭვში? ჩემის აზრით, ძალიან
პრაქტიკული ფერის ბეჭვი გაქვს.“

ბუხუმ უცნაური ხმა გამოსცა, თითქოს
იცინოდა. მოულოდნელობისაგან ანტი-
ლოპა კინაღამ წაიქცა. ჩოჩორი პუნდა
კი, რომელსაც ყურები დაბლა ჩამოეშვა,
კვლავ უკმაყოფილო ჩანდა.



მას უნდოდა კველასათვის ეჩვენებინა, რომ უბედური იყო: „ოქვენ რა გიკვირო, რომ მინდა მკაფიო ფერის ბეჭვი მქონდეს? ჰო მინდა, ძალიან მნიდა“ ბუხუმ ნესტოებიდან ბუშტები გამოუშვა.



უკბინა და ეს საშინელება იყო. ამბობენ, რომ მას...“ ჩოჩორმა ფქნი ასწია: „კიდვე თქვი რამე იმ გამოქაბულზე.“ — „ის ბეჭლი და ხმაურიანია...ასე თქვა დეიდამ...თუმცა მე არა მგონია, რომ ეს სიმართლეა...“



ვისურო?“ — ვედარ ითმენდა ჩოჩორი. ბუხუ ჩაფიქრდა: „უნდა ისურო, რომ არ იყო შავი, არამედ...“ თუმცა პუნდა უპვე გაქრა იქიდან. ის მხოლოდ თავის სურვილზე ფიქრობდა. ჩოჩორმა გაირბინა



„დეიდაჩემისგან ვიცი, რომ მთებში, არის გამოქაბული, სადაც ასეთი შემთხვევების დროს შეიძლება ბეჭვის ფერის გამოცვლა.“ — თქვა მან. ჩოჩორმა ყურუბი ასწია: „ფერის გამოცვლა შეიძლება?!“



ჩოჩორი შხად იყო იქ წასასელელად. ბუხუ განაგრძობდა: „დეიდამ თქვა, რომ უნდა შეხვიდე ჩანჩქერის გვერდით არსებულ ნაპრალში და მანამდე იარო გვირაბში, სანამ სინათლე გაფერმკრთალდება. შემდეგ ხმამაღლა უნდა დაიყვირო. თუმცა, პუნდა, იმ გამოქაბულში ძალიან ძლიერი ექოა. შენს ადგილზე მე...“ — „რა თქვა მან, ბუხუ, რისი გაკეთებაა საჭირო?“ — „მენ უნდა ისურვო...“ — „რა, რა უნდა



ჩაფიქრებული ბუხუ ფოთლებს ღეჭვდა. ჩოჩორმა კბილები დააკრიფა და მუქა რანარევი ხმით თქვა: „თუ არ მაიმობდ, ტლინკუბს მოგაყრი! ბუხუმ თავი გააჭნია: „ნუ იზავ ამას. დეიდაჩემს ერთხელ ვირმა



წყალსატევის ახლოს, და ვერ შენიშვნა ნიანგი. ავიდა ბორცვის თხემზე, ყურადღება არ მიაქცია გინგა მბიზის და აფთარ სლონების. ჩანჩქერთან შეჩერდა, ებებდა გამოქაბულში შესასვლელს. დაინახა



ნაპრალი და დაუყოვნებლივ შეეო თავი შიგ. „ა-ა! — დაიყვირა მან და მაშინევ გაიგონა საპასუხო ექო. რაღაც შავი შექმო მის დინგს. პუნდა უქან გადახტა. თუმცა, დაინახა რა, რომ ეს იყო დამურა ბუდი,



წვებით ამოისუნთქა. შიშისაგან ჩოჩორს მუცლის გერუმა დაემართა. ის ნელა შევიდა გამოქაბულში და მანამდე მიდიოდა, სანამ შესასვლელი ოდნავდა ჩანდა. პუნდა მიმდე სუნთქავდა, თუმცა სწრაფად მაინც



თეთრი...“ პუნდა სწრაფად გამოშურა უქან, და რაც უფრო უახლოვდებოდა გამოსასვლელს, მით უფრო გამალებით უგერდა გული.



„გავხდები თუთრი?“ — გაიფაქრა ჩოჩორმა. ის წინ მოიწვევდა და მის გარშემო კველა-ფერი თანდათან ნათლებოდა, და როცა გამოქვაბულიდან გამოვიდა, შექმ ისე და-აძრმაჟა, რომ პუნდა დააცემინა. მან დაიზედა დაბლა, შეხედა ფეხებს: ჯერ მარცხენას,




მერე მარჯვენას. ისინი გათეთრებულები იყვნენ! ვირუკა მოტრიალდა და კუდს შე-ხედა. ისიც გათეთრებულიყო! მისი ოცნება ახდა. ის თუთრი გახდა. სიხარულისგან პუნდა დაიყვირა: „ი-ააა!“



„პმ, როგორც ვხედავთ, შენ მაინც იყავი იდ ადგილას?“ — პკითხა მას ბუხუმ. „პო,“ — ამაყად უპასუხა პუნდამ. უცებ აფთარი გამოჩნდა: „ერთი ნახეთ! თუთრი ვირი. ეს ალბათ ხუმრობაა!“ — თქვა მან.



პუნდა გაოცებით უფურებდა თავის ანარეკლს წყალში. ის, რასაც ხედავდა, ახარებდა მას. თუმცა ამ დღოს ნიანგის ხმა გაისმა: „შენ უგუნურად მოიქეცი! შვი ფერი უფრო გიხდება.“



„არ არის მართალი, — თქვა ანტილო-პა დიკ-დიგმა, — პირიქით, ლამაზი სარ პუნდა!“ ბუხუ ნელ-ნელა ამოვიდა წყლი-დნი: „პმ, ჩემის აზრით, მართლაც კარგად გამოიყურები.“ პიპოპოტამმა შემთხვევით



ფეხი ჩადგა ტალახში და მოული ეს ტალახი გვერდით მდგარ ჩოჩორს მიაშეფა და თავიდან ფეხებამდე ამოთხვარა. ბუხუ შე-ხერდა, აზედ-დაზედა ჩოჩორს და ჩაიფრუ-ტუხა:




პუნდამ დაიხედა დაბლა, შეხედა თავის ფეხებს, რომლებიც მართლაც ჭუჭყანად გამოიყურებოდნენ. ჩაფიქრებული შეჩერდა ხის ჩრდილებეშ: „ოქნებ, უკოუსია, რომ კველაფერი ისე იყოს, როგორც ადრე?“




შემდეგ დაბრუნდა ჯუნგლებში, ბენიერებისგან ერთანად ბრწყინვდა. ის თუთრი და მოციმიძე გახდა! პუნდა მდინარესთან გაჩერდა, რათა წყალში თავისი ანარეკლი დაენახა.



პუნდა განაგრძობდა საკუთარი თავით ტებობას და ყურადღებას არ აქცევდა მისი მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს. ამ მომეტში ბუჩქებიდან გიერა გამოვიდა. ჯუნგლები აფესო მისი ხარხარით: „ჰა-ჰა-ჰა! შენ ასეთი სულელი ხარ!“



„პმ, მინდა გითხრა, რომ თუთრი ფერი არ არის პრაქტიკული შენოვას. შეხედე, რა ძალიან დაგეტყო ახლა ტალახი.“ პუნდა ჩაფიქრდა. ცოტათი თავგზა აეჭნა.



ამ დღოს მას მიუახლოება პიპოპოტამი ბუხუ: „არ გინდა, რომ ბეწვი გაისუფთავო? შემიძლია დაგქმარო, პმ...“ პუნდამ შვება იგრძნო.



კმაყოფილმა, ქვიშაში დაიწყო გორაობა, რათა გათავისუფლებულიყო ჭუჭყისგან. ეს ცოტათი დაეხმარა, თუმცა შავი ლაქები მაინც დარჩა. ბუზუ გვერდიდან უკურებდა ჩოჩორს.



„იქნება წყლით გეცადა ჭუჭყის ჩამორეცხვა! როგორც წესი, ის...“ მაგრამ პუნდა უკვე მდინარეში იყო ჩაყურყუმელავებული. ნაპირზე გამოსულმა, შეიფერთხა ტანი.



შორიახლოს გაფრენილმა ძერამ, ვირის დანახვისას, დაიწივდა: „ხალებიანი ვირი!“ აფთარი, ექოსავით გაქმიანა: „ხალებიანი ვირი!“ გიენამაც აფად აუბა მსარი: „აღრუ, საერთოდ არ გეტყობოდა



ჭუჭყი!“ დიკ-დიკი მიუახლოედა ვირს და გამამხნევებლად უთხრა: „ნუ განიცდი, პუნდა! ჭუჭყის ჩამობანა ყოველთვის შეიძლება.“ თუმცა ჩოჩორს მთლიანად პქნდა თავგზა აბნეული და დიკ-დიკის



გამხნევება, კარგად არც გაუგია. ანტილოპამ შემოუარა ირგვლივ და მხიარულად ოქვა: „ჩემის აზრით ეს ფერი ძალიან გიხდება. მე მომწონს!“ პუნდა, არ უსმებდა მას. ის ისევ გამოქვაბულისკენ



გაეშურა. „უნდა მცოდნოდა, რომ არაფერი გამოვიდოდა... საერთოდ არ უნდა წამოუსულიყავი ამ გამოქვაბულში.“ დიკ-დიკი ჩუმად მისდევდა მას. პუნდა შეჩერდა და ნაღვლიანი თვალებით



შეხდა. „ნეტა ვიცოდე, რა გაუკეთო...“ — „დაგბრუნდეთ უკან, — უებნებოდა ანტილოპა. — შენ ხომ ძალიან ლამაზი ხარ!“ პუნდა გაუტედავად იყურებოდა აქეთ-იქით, მის წინ მაღალი მთები იყო.



ზურგს უკან გინის ხარხარი ესმოდა. ჩოჩორმა ნაღვლიანად შეხდა თავის ჭუჭყიან ფეხებს და წინ გასწია. დიკ-დიკი არ ეშვებოდა და ცდილობდა მის დარწმუნებას იმაში, რომ თეთრი



ფერი ძალიან ლამაზი იყო. თუმცა პასუხად მის შევინებებზე პუნდა ფეხებს აბაკუნებდა. როცა ისინი გამოქვაბულთან მიყიდნენ, ანტილოპა ჭვლავ შეცადა მის შეჩერებას. მაგრამ პუნდამ მსუბუქად



უბიძგა მას და შეძვრა გამოქვაბულში. სიბნელე აშინებდა ჩოჩორს. ფექობდა, იქნებ სჯობია უკან მოვბრუნდე და დაურჩე თეთრად. მაგრამ, ამ ფიქრის მიუხედავად ის მაინც წინ მიიწვევდა



გვირაბში. ირგვლივ ყველაფერი იყო შავი. „შავი!“ — წაიბურტყუნა ჩოჩორმა. „შავი... შავი... შავი...“ — იმეორებდა ექო. მაშინ პუნდამ ხმამაღლა და გარკვევით დაიყვირა: „მინდა ვიყო შავი!“ ექომ



კვლავ გაიმეორა: „შავი... შავი... შავი...“ მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ესმოდა, პუნდამ იცოდა, რომ უნდოდა ყოფილიყო თეთრი.



ს დაბრუნდა გამოქვებულის შესასვლელთან. კარეთ შე კაშკაშებდა თვალისხმეულად. პუნდამ დახედა თავის წინა ფეხებს. ისინი შავი იყო. შავი იყო მასი კუდიც.



დიკ-დიკი კაოცებული უფრუბდა ჩითორს. შე იწვერებოდა დასავლეთისკენ. პუნდა დაჯდა და უმწეოდ ამოიკვენესა: „ა-ი!...“ მან ნამდვილად აღარ იცოდა, რა უხდოდა.



დღეები მიჰყვებოდა ერთმანეთს. ჯუნგლებში ყველა მასზე ლაპარაკობდა. ერთნი ამობდნენ, რომ შევი ფერი სჯობდა თუთოს. სხვები თუთოს აძლევდნენ უაირატესობას. პუნდას თითოეულის აზრი აინტერესებდა. მაგრამ რაც უფრო მეტს ეკითხებოდა სხვებს,



მით უფრო გაუგებარი ხდებოდა სიტუაცია თავად მისთვის. უსასობაში ჩაყრდნილი პუნდა ერთხელაც ჯუნგლებში მირბოდა, და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.



უცებ მიხვდა, რომ ნაცნობ გამოქვაბულთან იდგა. ის კვლავ შეძერა შიგნით, არ მიაქცია უურადვება გრუხუნს, რომელიც შიგნიდან ისმოდა და მთელი ძალით დაიყვირა: „მინდა ვიყო შავი! არა — თუთო!“



„შავი — თუთო... შავი — თუთო... შავი — თუთო...“ — პასუხობდა ექო. მოულოდნელად გაისმა საშინელი გრუხუნი. დიდი ქვა დაეცა პირდაპირ მის წინ, მეორე კი, მომცრო, დაეცა ზურგზე.



პუნდა შემოტრიალდა და რაც ძალი და ღრნე ჰქონდა, გამოიქცა შესასვლელისკენ. და როდესაც ძერებოდა გამოქვაბულის შესასვლელიდან, ის კრძობდა, როგორ ირყეოდა კედლები და ცვიოდა დიდოთი ქვები.



როგორც იქნა, ჩითორი გამოსხლტა მოლზე, გამოქვაბული კი ამასობაში ჩამოინგრა და მისი შესასვლელი საშუალოდ ჩაიხრგა. გარკვეულ მანძილზე მდგომი პუნდა შეჩერდა და შეხედა თავის თავს:



ჯერ ერთ ფეხს შეხედა, შემდგვ მეორეს. თავზარდაცემულმა კუდსაც შეხედა. „ო, არა! ეს შეუძლებელია! — ჩაიბურტყუნა პუნდომ. — მე ხომ მთლიანად შვ-თუთოი გაუნდი!“

ელიზაბეთმა ტაში შემოჰკრა:

- ასე გახდა ზებრა, იმიტომ, რომ არ შეეძლო გადაწყვეტილების მიღება!
- ეს მხოლოდ ზღაპარშია. სინამდვილეში ზოლებიანი ზებრა ღმერთმა შექმნა, — თქვა დაუდიდ. — თუმცა დაიმახსოვრეთ ამ ისტორიაში საუბარია იმის შესახებ, რომ რომელიღაც მომენტში გადაწყვეტილება მაინც იქნა მიღებული. ამ გადაწყვეტილების შეცვლა პუნდას აღარ შეეძლო, მას აღარ ჰქონდა არჩევანი. ამიტომაც, შემდგვ, როცა დაინახავთ ზებრას, გაიხსენეთ ზღაპარი ზოლებიან ჩითორზე და იფერეთ ღვთის სიტყვაზე. ვინც ვერ იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს ქრისტე თავის გულში ანდა ცდილობს ქრისტეს მეგობარიც იყოს და ქვეყნიერების მეგობარიც, ის წააგავს ზებრას.

კარკონგებლო რჩევა

მიიღე გადაწყვეტილება
მიჰყე ქრისტეს და იყვა
თანმიმდევრული.

როცა მთვარე “გარდაიცვლება”

გაგარძელება

მისიონერმა ქალმა თხრობა განაგრძო, თუ ცოცხალმა ღმერთმა როგორ გამოგზავნა ქვეყანაზე თავისი ერთადერთი შვილი. ეს ღვთის ძეა — იქსო. მან თავისი ნებით აიღო ყველა ბოროტების დასჯა აქ მცხოვრებთა, უცხოელთა და საერთოდ მთელი ქვეყნიერების. ამიტომ ვისაც სწამის იქსოსი, ზეცაში მოხვდება. ღვთის ძემ გადაარჩინა ხალხი ჯვარზე სიკვდილით. შემდეგ ის მკვდრეთით აღდგა და მუდმივად ცოცხალია, ყველა მისი მიმდევრები თავისუფალნი იქნებიან სიბნელის ძალაუფლებისგან. ისინი განთავისუფლდებიან დემონებისა და სულებისგან, აგრეთვე ოპიუმზე დამოკიდებულებისა და სხვა ცოდვებისაგან.

-აჰ, ეს როგორ! ესე იგი, ეს ადამიანი კი არ არის ძლიერი, არამედ იქსო!

ბეი განცვიფრებული იყო მოსმენილით. მისიონერი ქალი შეპყურებდა მას და პკითხა:

-მოგწონს ეს მონათხრობი, ბეი?

ბეიმ თავი დაუქნია.


-მაშინ, ხშირად მოდი ჩვენთან, ხანგი და ჯოც მოიყვანე. ჩვენი სურვილია, მეტი საინტერესო ისტორიები მოგითხროთ. ყველა ისინი ამ წიგნშია ჩაწერილი, ნახე!

ბეი გაოცებისგან გაფართოვებული თვალებით დაპყურებდა წიგნს, რომელიც გადასცა სასიამოგნო ქალმა. წიგნში არა მარტო უცნაური შავი ნიშნები იყო, არამედ სურათებიც.

-ამ წიგნის სახელია „მარკოზის სახარება.“ ის დაწერილია თქვენს მშობლიურ ენაზე და მოგვითხრობსს მრავალ საინტერესო ამბავს დიდებულ, ყოვლისშემძლე ღმერთსა და მის ძე იქსო ქრისტეზე.

ბეი ღრმად ჩაფიქრდა: „მე საიმოგნებით წავიდოდი იქსოსთან. ახ, მამაჩემიც თუ ეცდებოდა ამის გაკეთებას. იქსომ გაიმარჯვა სატანაზე! — ასეა ნათქვამი სიმღერაში.“





მისიონერი ქალი მიუხვდა მის აზრებს, იატაკზე მდგარ შავი ყუთის ღილაკს თითი დააჭირა. მაშინვე გაისმა სიმღერის მშვენიერი ბგერები: „იესომ გაიმარჯვა სატანაზე!“ ალილუია!“ ქოხში მსხდარი კაცები ხმამაღლა მღეროდნენ.

სიამოვნებით დარჩებოდა ბეი სიმღერის მოსასმენად, მაგრამ ბიის სახლში უნდოდა წასვლა. ბეის მეტი აღარ დარჩენოდა, მათთან ერთად უნდა წასულიყო სახლში. „მე ბევრი რამ ახალი გავიგე, - ფიქრობდა ბეი გზად. – მე კიდევ კარგად უნდა ვიუიქრო ამაზე. როგორც კი მივალ სახლში, მე დაგელაპარაკები იესოს და ვთხოვ, დაქმაროს მამაჩემს.“

თვი VIII

მამაცური გადაწყვეტილება

შემდგომი დღეები ყველაზე საშინელი იყო, იმასთან შედარებით, რაც კი ადრე ჰქონდა გადატანილი ბეის. მამა იმ მეგობრებს გაჰყენა, რომლებმაც ოპიუმი შესთავაზეს. მისმა წასვლამ ბოლო იმედიც წაართვა. დედა, საერთოდ არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ტიროდა. სოფელში ბავშვებიც აღარ ურთიერთობდნენ მათთან. ბეიმ ყველანაირი იმედი დაკარგა. უბძენდა იესო მას? . . .

რვა დღე იყო დარჩენილი მთვარის „გარდაცვალებამდე“, მერე შვიდი, ექვსი, ხუთი. . . როცა ოთხი დღე დარჩა, მოულოდნელად მამა გამოჩნდა. იგი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. როგორც კი სახლში შემოაბიჯა, მან ლაპარაკი დაიწყო.

ნახაფი თ. მ.



-დედა, თანახმა ზარ, რომ ჩვენ იესოს გზით ვიაროთ? სხვა გამოსაყალი მე არ ვიცი, ვეცადე ოპიუმის გარშე ვყოფილიყვაი, მაგრამ ორ დღეზე მეტს ვერ ვუძლებ. მამამ პირველად წარმოთქვა ასეთი გრძელი აზრი. ყველა დუმილით ვუსმენდით. ბეის მოეჩვენა, თითქოს მხრებიდან მძიმე ტკირთი ჩამოხსნეს.

- შენ მისმენდი, უფალო იესო! მადლობთ! – წენარად წარმოთქვა მან.
დანარჩენი თითქოს სიზმარში მოხდა.

თავი IX გზა ნაპოვნია!

დედა და მამა უფროს ბიძასთან გაეშურნენ, სადაც უცხოელები მიიწვიეს. თეთრი ადამიანები მათ ქოხში მოვიდნენ და მშობლებთან საუბრობდნენ. ისინი ჰყვებოდნენ, როგორ შექმნა ღმერთმა მთელი სამყარო და ადამიანი, როგორ ეურჩნენ ადამიანები ღმერთს, როგორ გამოგზავნა ღმერთმა იესო ქვეყნად და როგორ გაიმარჯვა მან ბოროტებაზე. კიდევ ბევრ სხვა რამეს უამბობდნენ ისინი მათ.

ბეის არ შეეძლო სრულად გაეაზრებინა ყველაფერი, მისი გული სიხარულით მღეროდა:
„იესომ გაიმარჯვა სატანაზე,“ რასაც ასე მოუთმენლად ელოდა, ბოლოს ნამდვილად ახდა! მას ახლა შეეძლო ერწმუნა ქრისტესი! და კიდევ, რაც აუცილებელი იყო, მამასაც სურდა დახმარება ეთხოვა ყოვლისშემძლე უფლისთვის.

ჯერ მამამ, მერე დედამ და ბავშვებმაც კისრიდან მოიხსნეს ეშმაკის თილისმები, ბეიმაც მათ მიპაპა.

სიზმარი იყო თუ ცხადი? ეს ნამდვილად უნდა მომხდარიყო, ასეთი რამ ძილშიც არ დაგესიზმრებოდათ. ერთი რამ ნათელი იყო: შეუძლებელია, გწამდეს იესოსი, როგორც შენი ახალი უფლის და იმაგდროს დემონებს სოხოვდე მფარველობას. სულერთია, ისინი ვერ დაგეხმარებიან, შორს მათვან!

რესტორანი ცეტაზი

1914–1994

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე
ცნობილი ბიბლიის მთარგმნელი



სამხრეთ-ამერიკის
ჩრდილო-დასავლეთით
მდებარეობს ქვეყანა,
რომლის სახელიც აღ-
ნიშნავს ეკვატორს, —
ეკვადორი. ამ სახელ-
მწიფოს შედარებით
არცთუ ისე დიდ ტერი-
ტორიაზე არის საზღვაო

სანაპიროც, მთებიც, კუნძულებიც და გაუგალი
ჯუნგლებიც. უხსოვარი დროიდან ეკვადორში
ცხოვრობდნენ ინდიელთა ტომები, რომელთა
სახელების გამოთქმა ხანდახან თითქმის შე-
უძლებელია: კარა, კიტუ, ტუმბე, კანიარი, ვაორანე
და სხვა. სწორედ ვაორანეზე, სხვანაირად აუკაზე,
იქნება ჩვენი ამბავი.

აუკას ტომი მრავალი საუკუნის მანძილზე
დანარჩენი სამყაროსგან განცალკევებულად
ცხოვრობდა. თანამედროვე ცივილიზაციას

პრაქტიკულად არ შეუდწევია ტროპიკულ
ჯუნგლებში მცხოვრები ამ ხალხის ჩაეტილ
გარემოში. ტომი ყოველთვის ფრთხილად და
მტრულადაც კი ეპყრობოდა ყველა უცხოელს,
რომლებიც ჩნდებოდნენ მის ტერიტორიაზე. და
ჩვენს დღვებშიც კი არიან ოჯახები, რომლებიც
უღრან და მიუგალ ტყეებში სრულ იზოლაციაში
ცხოვრობენ.

აუკას ტომის ინდიელები ძალზე მეომარი
ხალხია: ნადირობა და ტომთაშორისო ბრძოლებია
მათი მთავარი საქმიანობა. მათ შემთხვევით არ
ეძახიან „თავებზე მონადირეებს.“ წარმატება
ბრძოლაში და ნადირობაში — მათთვის ყველაზე
მთავარია. ამიტომაც ტომის შამანები მუდამ
მიმართავენ ცხოველებისა და გარდაცვლილ
წინაპართა სულებს დახმარებისთვის, სწირავენ
მათ მსხვერპლს, რათა მოიგონ მათი გული და
მიიღონ მხარდაჭერა.

ნახაფი ვ. ბ.



ნახევარ საუკუნეზე მეტი წნის წინ პირველი მისიონერები ჩავიდნენ ამ ტომთან, რათა მათთვის იქ ის ქრისტე ექადაგათ. ეს მცდელობები ტრაგიკულად დამთავრდა — ტომის მეომრებმა და ხოცეს ჩასულები. ამის შემდეგ ვინდა გაძედა და მისულიყო და ექადაგა სისხლსმოწურებული ინდიელებისათვის!?

მაგრამ გამოჩნდნენ ასეთი ადამიანები! ისინი ქალები იყვნენ: ელიზაბეტ ელიოტი და რეიჩელ სეინტი. პირველი იყო ქვრივი, მეორე კი და — მოკლული მისიონერების ჯიმ ელიოტისა და ნათ სეინტისა. მათ თან ახლდათ ქალი ამ ტომიდან — დაიუმა. ოდესაც ის გაექცა ომს, რომელსაც მისი ტომი აწარმოებდა მეზობელ ტომთან. საკვირველია, მაგრამ ინდიელებს მათოვის ხელი არ უხლიათ და ქალები, ელიზაბეტი, რეიჩელი და დაიუმა დასახლდნენ ინდიელთა სოფლის განაპირას მდგარ ლერწმის ქოხში.

მათი ყოფა ძალიან მძიმე იყო. ცივილიზაციის არანაირი სიკეთე იქ არ იყო. ამას გარდა ცხელი კლიმატი, სახიფათო მწერები და მტაცებელი ცხოველები



ნათ სეინტი აუკას ტომის ინდიელთან. კაფი ფოკუშენტური ფილმიდან 1956 წ.

ქმნიდნენ დამატებით პრობლემებს. თუმცა ქალებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ: მათ იცოდნენ, რომ უფალს უფარს აუკას ადამიანები, და მზად იყენენ მისი ნების შესასრულებლად — მათოვის სახარების მისატანად. ამას გარდა რეიჩელი დიდი ხანია ემზადებოდა ასეთი მსახურებისთვის.

მისიონერული საქმიანობა მას ბავშვობიდანვე იზიდავდა. სწორედ მისი გავლენით გახდა მისი ძმა ნათი მისიონერი. თავად რეიჩელმა დაამთავრა ოკლაპომას უნივერსიტეტი (აშშ), „ლინგვისტის“

სპეციალობით, შემდეგ წერილი მსახურებას პერუში მცხოვრებ ინდიელებს შორის. და აი უფალმა მოუწოდა მას წასულიყო აუკას ტომთან.

ყველაზე მნელი ამ ტომის ენის შესწავლა იყო. ამაში დიდი დახმარება გაუწია დაიუმამ, რადგან მან ინგლისური ენა იცოდა. რეიჩელი ყოველ თავისუფალ წუთს უთმობდა ენის შესწავლას: შეადგინა ლექსიკონი, სწავლობდა ბგერების სწორ გამოთქმას. ხანდახან მის მოხალისე თანაშემწევს არ ყოფნიდა სიტყვების მარაგი, რომ აქსნა მისთვის ესა თუ ის სიტყვა ან გამოთქმა. მაშინ იწყებოდა ნამდვილი თეატრალური წარმოლდება. დაიუმა ხან იღრინებოდა, როგორც გარეული მხეცი, ხან ტიროდა, პატარა ბავშვით, ხან იატაკზე მიცოცავდა გველვით, ხან ინიღბებოდა, ფრთხილი მონადირესავით. რეიჩელი აკვირდებოდა, ეკითხებოდა და თანდათან იგებდა ამ ძველ ენას.

მთარგმნელის საქმე მონოტონურია, დიდ ჯაფასთან არის დაკავშირებული. მოითხოვს მოთმინებას, მცდელობას და სიზუსტეს. ხანდახან ერთი წინადაღების გადათარგმნას რეიჩელი დღეებს ანდომებდა. მიუხედავად სიძნელებისა და ხიფათისა, რა გარემოცვაშიც ისინი ცხოვრობდნენ, რეიჩელ სეინტი განაგრძობდა თავის შრომას, სთხოვდა უფალს სიბრძნესა და მხარდაჭერას.

ასე მიიღეს აუკას ინდიელებმა ღვთის სიტყვა მშობლიურ ენაზე, სახარების ნათელმა მიაღწია ამ სისხლმოწურებულ წარმართებთან. რეიჩელის მერ გაკეთებული საქმის მნიშვნელობა მართლაც ძნელი შესაფასებელია — რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი ამ ქვეყანაზე, ვიდრე უწყება ხსნის შესახებ, რასაც იქ ქრისტეს მეშვეობით ვიღებთ და რასაც სხვა ადამიანებს გადავცემთ?!

ჩვენს დღეებში მდ. კურარაის ნაპირზე, სადაც ხუთი მისიონერი მოკლეს, დგას აუკას ტომის ინდიელების ეკლესია. ტომის წერი — ინდიელი ქრისტიანები — ამ შენობაში ატარებენ ღვთისმსახურებებს: ქადაგებენ, გალობენ და ლოცულობენ. და ახსოვთ თავიანთი კეთილისმოყოფელები, ისინი, რომლებმაც მათ წმიდა წერილი მიუტანეს.



პ. 2.

ბებული

მეცნიერა 1 წიგნი, 16-17 თავები (ძვ. წ. 1010-979 წლები)

ფიცის სიმაღლაზონი

გოლიათი
კარგად იყო
შეიარაღებული.
იპოვე მისი შები,
მახეილი და
ლახვარი.



ხედავ გოლიათის
ბუმბელებით
მორთულ
მუზარადს?



დავითი ისრაელის
ბანაში მოუიდა,
თავისი ძმებისთვის
საკვების
მისატნად. იპოვე
საკვებით საესე
სამი კალათა.



ფილის სტიმელების
სპილენძის ჯავშანი
ძალიან მძიმე იყო.
იპოვე მჯდომარე
მეომარი.



ქანაანის დასახლების დროს ისრაელის ხალხს
უწევდა თავი დაეცვა ბევრი მტრებისგან.
ბოლოს და ბოლოს დავითმა ყველა მათგანი
დაამარცხა და გახდა ისრაელის მეფე.

ყველაზე ცნობილი გახდა მისი ბრძოლა
გოლიათთან. ამ დროს ყმაწვილმა მწევმსმა
დაამარცხა ყველაზე ბრგე და ძლიერი
ფილისტიმელი მეომარი.



დავითმა შურდულის
დახმარებით ისწავლა გარეული
მხეცებისაგან თავის დაცვა.
ხედავ როგორ ისვრის ის ქვას
შურდულიდან?



ხედავ გოლიათის გაქცეულ
საჭურველმტვირთველს?



ფილისტიმელებმა იცოდნენ
რეინის დამუშავება,
ამიტომაც მათ საიმედო
იარაღი პქნენდათ. იპოვე
მჟედელი მათ ბანაკში.



რამდენი მერა
დასტრიალებს თავს
ბრძოლის ველს?



იპოვე ტახტზე
მჯდომი მეფე
საული.




მაცნეები სიახლე-
ებს ბრძოლის
ველიდან
ბეკის ზმით
გადმოსცემდნენ.
იპოვე ისინი.



დათვალე
ფილისტიმელების
საბრძოლო იტლები




დათვალე
პროდუქტებით
სავსე ურმები
ფილისტიმელების
მოსამარაგებლად.



ომის დროს
მღვდლებს
ეკითხებოდნენ
რჩებას. იპოვე
მღვდელი
ისრაელიანების
ბანაკში.



იპოვე მეომრები,
რომლებიც წვანე
ბატკანს.



ნახატი პ. კ.

მეფე საულს
უნდოდა
დაუთითოსთვის
თავისი საჭურველი
გადაეცა. სად არის
მეფის საჭურველი?



დავითი მუსიკოსი
იყო საულის კარზე.
იპოვე მუსიკოსი,
რომელიც არფაზე
უკრავს.



წედავ მღინარეს,
რომელიც ორ
დაპირისპირებულ
ბანაკს შორის
მოედინება?



იუთობების აქტევა

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ...“ იესოს ეს სიტყვები სიხარულს ჰგვრის მორწმუნებებს უკვე 2000 წელია. ანდაზა ამბობს: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ.“ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მეგობრები ძლიერ გავლენას ახდენენ ჩვენზე. ჩვენ ის მუსიკა მოგვწონს, რომელიც მეგობრებს მოსწონთ, ჩვენ იმ წიგნებს კითხულობთ, რომლებსაც ისინი კითხულობენ, ჩვენ ისე ვფიქრობთ, როგორც ისინი და ხანდახან ისე დავდიგართ, როგორც ერთ-ერთი მათგანი. ჩვენ ისე ვიღებთ მათ ჩვევებს, რომ ვერც ვამჩნევთ ამას.

ბევრი დიდი ადამიანი—კომპოზიტორები თუ მწერლები, პოეტები თუ მქადაგებლები—იმიტომ გახდნენ ისეთები, როგორებიც იყენენ, რომ ბავშვობიდან მეგობრობდნენ იმ ადამიანებთან, რომლებმაც ისინი ასე ჩამოაყალიბეს. თვით საშინელი დამნაშავებიც კი— მკვლელები და მოძალადები, ქურდები და ყაჩაღები—იმიტომ კი არ გახდნენ ასეთები, რომ გადწყვიტეს დამნაშავენი ყოფილიყვნენ, არა, უბრალოდ ასეთი მეგობრები აირჩიეს. მეგობრების ყოლა, შესანიშნავია, თუ ისინი კარგები, მორწმუნები არიან, თუმცა ძალიან ცუდია, თუ ისინი—სახიფათო გატაცებების მქონენი და ქუჩის აღზრდით არიან.

ბიბლიაში, ძველ აღთქმაში, მტკიცე მეგობრობის ცნობილი მაგალითია იონათანის, მეფე საულის ძის, და მომაგალი მეფე დავითის მეგობრობა. მათი მეგობრობა იმიტომ იყო მტკიცე, რომ ორივეს სწამდა ღმერთი და ენდობოდნენ ერთმანეთს.

ახალ აღთქმაში მეგობრის არჩევის კრგი მაგალითია ბარნაბა, რომელიც მოციქულებმა ანტიოქიაში გაგზავნეს მსახურებისთვის. მას დამხმარე სჭირდებოდა, ამიტომაც ჩავიდა ტარსუსში პავლეს საპოვნელად. მან იცოდა რომ პავლე განათლებული, მორწმუნე, უფლისაგან მოწოდებული კაცი იყო და მიიწვია ის ანტიოქიაში. პავლე დათანხმდა. იმის შემდეგ ისინი ახლო მეგობრები გახდნენ. ღმერთმა ორივე მისიონერულ მოგზაურობაში მიავლინა. მათმა მეგობრობამ გაუძლო გამოცდას და ისინი ბოლომდე ერთმანეთის ერთგულები დარჩნენ.

იესომ თქვა, რომ მისი მოწაფები — მისი მეგობრები არიან. დიდი პატივი და დიდი სიხარულია — თავად უფალი იყოს შენი მეგობარი. მასთან და მის მსახურებთან ერთობით, ჩვენ სულ უფრო მეტად დავემსგავსებით ჩვენს მასწავლებელს. გინდათ ეს? ვფიქრობ, რომ გინდათ. უთხარით იესო ქრისტეს ამ სურვილის შესახებ. უთხარით, რომ გინდა იყო მისი მეგობარი და სთხოვე იესოს მოგცეს მეგობრები, რომლებიც დაგეხმარებიან იყო მისი ერთგული.



იონათანი, საულის ძე და დავითი მეგობრები იყვნენ, თუმცა, იონათანმა იცოდა, რომ ღმერთმა მეფედ, საულის შემდეგ, ის კი არ აირჩია, არამედ დავითი. როცა ის დარწმუნდა იმაში, რომ მამამისი ნამდვილად ბოროტს იზრახავდა დავითის წინააღმდეგ, იონათანმა გააფრთხილა დავითი, რომ მიმალულიყო. ეს ისტორია ჩაწერილია მეფეთა პირველი წიგნის მეოცე თავში.

ნინა ჭი ი. ს.



კიტაპების ტურნირი

ჩვეულებრივი
სახამთრო —
ერთწლიანი
ბალახოვანი
მცენარეა,
ბაღჩეული
გულტურა
გოგრისებრთა
ოჯახიდან.
ნაყოფი —
გოგრისებრი,
სფეროს ფორმის,
ოვალური ანდა
ცილინდრისებრი.
ნაყოფის წონა
— ოთხიდან
თხუთმეტ
კილოგრამამდეა.

— სად იზრდება ყველაზე ბევრი საზამთრო მსოფლიოში? — პკითხა ნიკამ თავის ამხანაგ ბესოს, როცა გამოვიდა მაღაზიიდან საზამთროთი ხელში.

ზუსტად არ მახსოვს, თუმცა წამიკითხავს ამის შესახებ. მგონი თურქეთში თუ ჩინეთში. თითქმის მიხვდი. ყველაზე ბევრი საზამთრო მოჰყავთ ჩინეთში. ერთი წლის მანძილზე ჩინეთი 16-ჯერ მეტ საზამთროს ჰყიდის, ვიდრე მისი უახლოესი კონკურენტი — თურქეთი. იაპონელებმა კი მოიფიქრეს გამოეყვანათ კვადრატული, უფრო ზუსტად, კუბის ფორმის საზამთრო, რომლებიც გაცილებით ნაკლებ ადგილს იკავებს ტრანსპორტირებისას და შენახვისას. მამაჩემმა საკუთარი თვალით ნახა ასეთი საზამთროები. ის იაპონიაში იყო. ეს საზამთროები ორიგინალურად გამოიყურებიან, ამიტომაც იყენებენ მათ ვიტრინებისა და ინტერიერების გასაფორმებლად. თუმცა, კუბის ფორმის საზამთროები გაცილებით ძვირი ღირს ვიდრე ჩვეულებრივი — ორმოცდათოდან სამას დოლარამდე, მაგრამ მათზე მოთხოვნა მაინც არის, — თქვა მამამ.

— ჩემის აზრით, მთავარია, რომ საზამთრო გემრიელი იყოს, ფორმა კი არც ისე საჭიროა, თუმცა საინტერესოა, — თქვა ბესომ. კუბის ფორმის საზამთრო არ გარდება მაგიდიდან! სხვათა შორის, საზამთროს კარგად მიირთმევენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ზოგიერთი ცხოველებიც.

საკირველია, რა ბრძნულად გაითვალისწინა ყველაფერი ღმერთმა. მართლაც, არა მხოლოდ ადამიანებს, ვიტამინები და მიკროელემენტები ცხოველებსაც სჭირდებათ. საზამთრო კი ვიტამინების ყულაბად ითვლება, თუმცა ის 95%-ით წყლისგან შედგება.

ნახაფი ა. ვ.



სეჭუალური

არსებობს 1200 ჯიშის საზამთრო, რომელიც მსოფლიოს 96 ქვეყანაში იზრდება. ძირითადად ეს ქვეყნები თბილი კლიმატის მქონე ქვეყნებია. ჩვეულებისამებრ საზამთრო გამოიყენება ნედლად, ის გემრიელი, ტყბილი და სასიამოვნო საჭმელია. მისგან ბევრი პიკანტური საჭმლის მომზადება შეიძლება: სუპებიდან დაწყებული სალათებით დამთავრებული. მისგან ამზადებენ დესერტებსაც.

საზამთროს ისტორიიდან

საზამთროს სამშობლო კალაპარის უდაბნოა, სამხრეთ აფრიკაში. იქ დღემდე გაზვდება ველური, მცირე (ტენისის ბურთის ზომის) საზამთროები, წონით 200 გრამამდე.

საზამთროებისგან ჭრიან ყველგარი ფორმის ფიგურებსა და ყვავილებს. ხელოვნების ეს სახე დაიბადა ჩინეთში ჩვენი ერის დასაწყისში. 1932 წლამდე კარვინგი (ინგლისურიდან თარგმანით ნიშნავს ამოჭრას) გამოიყენებოდა მხოლოდ სამეფო ცერემონიების დასაშვენებლად. დღეს კი ბოსტნეულისა და ხილის მხატვრული ჭრა და დამუშავება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აითვისეს.

ამგვარი საზამთრო ნაკონია საზამთროების გამოსახულებები და თესლები. ეს კი იმაზე მოწმობს, რომ ქველ გვიპტუში საზამთრო მოჰყავდათ 4000 წლის წინ (საზამთროებს ათავ სებძნენ ფარაონების სამარხებში, იმის გამო, რომ მათ პირი გაესველებინათ საიქონში). მოგვიანებით საზამთროს მოყვანა დაიწყეს სპარსეთში, არაბეთში და ინდოეთში, ასევე მშრალი და ცხელი კლიმატის მქონე აზიის სხვა ქვეყნებში. ვროპაში ის მოხვდა ჯვაროსნული ლაშქრობების მეშვეობით, 700-900 წლის წინ. ხოლო ახალ სამყაროში (ამერიკაში) ის ზღვაოსნებმა შეიტანეს.



გვიპტურ სამარხებში ნაპონია საზამთროების გამოსახულებები და თესლები. ეს კი იმაზე მოწმობს, რომ ქველ გვიპტუში საზამთრო მოჰყავდათ 4000 წლის წინ (საზამთროებს ათავ სებძნენ ფარაონების სამარხებში, იმის გამო, რომ მათ პირი გაესველებინათ საიქონში). მოგვიანებით საზამთროს მოყვანა დაიწყეს სპარსეთში, არაბეთში და ინდოეთში, ასევე მშრალი და ცხელი კლიმატის მქონე აზიის სხვა ქვეყნებში. ვროპაში ის მოხვდა ჯვაროსნული ლაშქრობების მეშვეობით, 700-900 წლის წინ. ხოლო ახალ სამყაროში (ამერიკაში) ის ზღვაოსნებმა შეიტანეს.

ვ. ც.



მსოფლიოში
ცნობილი
ქველაზე დიდი
საზამთრო,
რომელიც 122
კგ-ს იწონიდა,
გაიზარდა 2005
წელს ამერიკაში.

საზამთრო-გიგანტების გარდა, არსებობს ასევე მცირუ ზომის, სულ 3-4 სმ-ს სიგრძის საზამთროებიც. ისინი სამხრეთ ამერიკაში მოჰყავთ გემოთი ქორფა კიტრს მოგვარებენ, ამიტომაც ხშირად გამოიყენება ძვირფას რუსტორნებში სალათების, შარბათისა და სხვადასხვა სახის საუზმეულის მოსამზადებლად.






ბ. ა. უახაბია



პ. ა. ჩეჩეთიშვილი



ც. ს. 9 ხელი,
ჩხეთიშვილი



20-21 გვერდების პასუხები 6. ბრძოლა ფილისტიმელებთან



გოლიათის შუბი, მახვილი და
ლახვარი 1, 2, 3

გოლიათის ბუმბულებით მორთული
მუზარადი 4

კალათები საკვებით 5, 6, 7

მჯდომარე მეომარი 8

დავითი ქვას ისერის შურდულიდან 9

გოლიათის გაქცეული
საჭურველმტვირთველი 10

მეფის საჭურველი 11

მუსიკისი, რომელიც არფაზე უკრავს 12

მდინარე 13

მეომრები წვევნ ბატყანს 14

მღვდელი ისრაელიანთა ბანაკში 15

ურმები საკვებით 16, 17, 18, 19, 20, 21, 22
საბრძოლო ეტლები 23, 24, 25, 26, 27, 28, 29

მაცნები, რომლებიც ბუქს უკრავნ 30


მეფე საული 31

ძერები ბრძოლის თავზე 32, 33, 34, 35, 36

მჭედელი ფილისტიმელთა შორის 37



მინისტრი
აღმოსავალეთში



მ. ბ. 8 ნის, ცხაქაცია



ჯფის
ფინანსურის
თამაშის მთავარი

ა. ა. ცხაქაცია

ივანე ბერძნების
ხახვათან

3. მ. ცხაქაცია



საბავშვო ქრისტიანული უურნალი
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

ვალდემარ ბახეცელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფოსტ: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:
ლუხუმა მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე
მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8
ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო უურნალი „ბილიკი“
დაბეჭდილია სტამბა “სეზანი“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 2 მაიკონთხ:

ვინც კარგი მეგობარია თვალ, ასეთ ადამიანს კარგი მეგობრებიც ჰყავს.


გვ. 7 დავალება:

ფს. 18:2 „დღე დღეს გადასცემს სიტყვას, დამე კი დამეს უმხელს აზრზს.“

ეს ორი ნახატი ძალიან
ჰგავს ერთმანეთს, თუმცა
არის განსხვავებებიც

ესბავსი ნახატები

იპოვე 10
განსხვავება!



ISSN 1987-720X



9 8771987 720007

ნახატი ე. მ.